


№ 7 – 1915. მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება“-ზე 15 თებერვალი



თბ. ქართ. მომღ.-მგალობელთა გუნდი, მ. კავსაძის მიერ დაარსებული 1910 წ.

დღევანდელი კონცერტის გამო სახალხო სახლში

## № 7

## შინაარსი:


1, **მეთაური**—უშველოთ ჩაგრულ ძმებს! 1
2, **იოსებ არიმათიელი**—აკაკის ძეგლი 2
3, **ღრუბელი**—მამის საფლავზე „
4, **კ. ჭიჭინაძე**—ეს არის? 3
5, **ჯაფარ-ფაშა**—ვლ. ალ-მესხიშვილს 4
6, **ლადო ბზვანელი**—აკაკის სამგლოვიარო დღეს „
7, **დია ჩიანელი**—მშობლიურ ცის ქვეშ „
8, **ი—ელი**—სახალხო მუშაკნი-ნ. ი. ბალანჩივაძე (სურათით) 5
9, **ს. მგალობლიშვილი**--აკაკი (მოგონება)
10, **ალ. შანშიაშვილი**—ქალი გრძნეული, (გაგრძელება) 9
11, **ივ. მაჭავარიანი**—ქართული მართლწერა 12
12, **სილოვანი**—აკაკის ხსოვნას 13
13, **უსავანო**—მგოსნის დაკრძალვა 14
14, **ქართული სახიობა** 15
**წვრილი ამბები** „
**სურათები; განცხადებანი.**


**რედაქციისაგან**. ღ. მ-ს „ომი, ომზე ომის გამო" ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ იბეჭდება.—ამ ნომრისთვის აწყობილი გ მ-ს „უძველესი საბერძნეთის თეატრი" და ზ. ჩ-ძის „პ. ი ჩაიკოვსკი" შემდეგი ნომრისათვის გადაიდო.—მალე დავიწყებთ ვ. კოტეტიშვილის კრიტიკულ წერილის „შავი წიგნის" (შ. არაგვისპირელის გარჩევა) ბეჭდვას

შემდეგ ნომერში დაისტამბება გ. დ—ის „ფარული გრძნობა".

**თანამშრომელთა საყურადღებოდ ვაცხადებთ**—სხვა რედაქციებში გაგზავნილ მასალას ჩვენთან ნუღარ გამოგზავნიან და მით უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაგვაყენებენ.

**მდგომარე კვირას დ. ხონსა და თეატრში ნ. ჩხეიძისა და მ. ქორიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**I „უბედური ნაბიჯი" II "მედეა"**

---

**ძმ. ზუბ სახალხო სახლი**

კვირას 15 თებერვალს 1915 წ. 2 შეერთებული გუნდი 1, ქართველ მომღერალ-მგალობელთა და 2, ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა (60 კაცისაგან შემდგარი) **მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით ახლად შეკერილ გუნდის საკუთარ ქულაჯებით, ჩერქესკებით და გლეხურად გამოწყობილი გამართავს 4 განყოფილებად დიდ სახალხო ორიგინალურ

# კონცერტს

**ძმ. ნიკოლოზ და ანდრია კავსაძეების** (ტრიო), **თ. ლუარსაბ ჯანდიერის** (სოლო-ურმული), **იოსებ სალირაშვილის** (ფანდური), **ნ. ჩაგუნავას** და სხვათა მონაწილეობით. კონცერტის პროგრამაში შედის საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სამხმოვანი სიმღერები, გადაღებული ძველ ქართულ მუსიკოსების-მიერ და აგრეთვე ნამდვილი ევროპიული ოთხხმოვიანი სიმღერებიც, გადაღებული **ი. რატილის**-მიერ. სხვათა შორის გუნდი შეასრულებს **კლენოვსკის „ნანინა"-ს, რატილის-„ლაჟვარდ-ცაზედ", მლ. კავსაძის „ზამთარიო"-ს** და სხვ. ბოლოს. **„მუმლი-მუხასა"** და **„ცანგალა"-ს**.

დაწვრილებით პროგრ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილით 12-2 ს. 6-8 ს.

**ბილეთების ფასები 10 კ-დან 1 მ. 20 კ-მდე** **დასაწყისი შუადღის 12 ს.**

შეერთებულ გუნდების გამგეობა

მორიგი წევრნი ( ა. ბაქრაძე
( ი. ქარსელაძე
( ა. ხუხუნაშვილი

# თეატრი და ცხოვრება

№ 7

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 7 | კვირა 15 თებერვალი | 1915 წ.


## 15 თებერვალი

**უშველოთ ჩაგრულ ძმებს!**

ცოცხალთა უმოქმედობით გულმოკლული სახელოვან მიცვალებულთა გამოხმობაში ეძიებს ხსნას ..

სწორედ ამიტომაც იყო, რომ სამესხეთოს წარმომადგენელმა, მოხუცებულმა, უძლურმა ქართველ - მაჰმადიანმა გულო-ალა კაიკაციშვილმა ცოცხლებს კი არა, მიცვალებულს მიჰმართა... სამასი წელიწადია, რაც მტერმა დაგვაშორიშორა, მთელი სამცხე-საათაბაგო მოსწყვიტა საქართველოს. . „სარწმუნოება შევიცვალეთ, მაგრამ ჩვენი დედაენა მაინც არ დაგვიკარგავსო.. შენ ერთი ანათებდი მთელ საქართველოს, მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი სანათით ვერ მოიფინება ყველგან სინათლე, და საჭიროა, აქეთ უფრო მრავალი სანთელით მოვიდნენ შენები და გევედრები, დოუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვესკენ დეიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღადგინონ ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებიდან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებითო“.

განა ამ მუდარას კიდევ განმარტება ეჭირვება?

და თუ ყველა ჩვენი სიტყვები, დეპეშები აკაკის მიმართ „ფიცსა ვდებთ არ უღალატოთ შენს ანდერძს, შენს მოძღვრებას და შენგან გაკვეთილ გზით ვიაროთო“, სამგლოვიარო ძაძით შემოსვა მხოლოდ სათვალსეიროდ არ არის მოგონილი, ყურად არ უნდა ვიღოთ მოხუცებულ ქართველ-მაჰმადიანის სიტყვები და მივეშველნეთ..

სამასი წლის წინად თუ ძალით მოაშორეს დედა — საქართველოს ქართველი ერის უპირველესი მოდგმა და მიუხედავად იმისა, დღესაც „სუნთქვენ ქართველ ერთან ერთად“, დღეს ლამის არის ვერაგულად სამუდამოდ გაგვთიშონ...

აკლებულია სოფლები, დარბეულია ხალხი, გახიზნულია ქვეყანა, ორივე მხრით ცეცხლი მოსდებია და არ იციან, რა გზას დაადგნენ...

ვისაც რით შეუძლიან, სწორედ ახლა უნდა გაუწოდოს ხელი მრავალტანჯულ წამებულ გამჰამადიანებულ ძმათ,..

სწორედ ახლა გვმართებს, როგორც იტყვიან, ფოლადის ქალამანი ჩავიცვათ, რკინის კვერთხი ავიღოთ, ქვეყნი-ქვეყნად ვიაროთ და სადაც საჭიროა დაუმტკიცოთ, რომ ქართველი მაჰმადიანნი, სამცხე-საათაბაგოელნი ჩვენი ღვიძლი ძმანი არიან და მათი აკლება — ჩვენივე აკლებაა, წ. კ. ს. და სხვა კულტურულ საზოგადოებათ თავი გამოიდონ, შესაფერი კაცები გაგზავნონ ქართველ მაჰმადიანთა შორის, ადგილობრივ პირობათა მიხედულებით, ხელმძღვანელობა გაუწიონ, ქართული სკოლები გახსნან, ქართული წიგნები გაავრცელონ, რადგან მათი სამშობლო ენა — დღესაც ქართულია, წმინდათ შენახული... დარბეულ-დამშეულ ხალხს საჭმელ-სასმელი — ჩასაცმელიც ეჭირვება და ამ მხრითაც დავეხმარნეთ...

თუ კი უცხოეთიდან გამოხიზნულნი ჩვენს დედაქალაქში ასი-ათასობით შემორბიან, ბინას ჰპოებენ და აქვე ბინავდებიან, ნუ თუ ჩვენ იქამდე მოვიყრუებთ ყურს, დავიჩლუნგებთ გრძნობას, ჩვენ დევნილ ძმათ არ მივეშველებით?..

თვალის დახამხამებას ნუ დავკარგავთ უქმად...

დადგა წუთი, როდესაც ჩვენის დიდებული მოძღვრის აკაკის ნატვრა განვახორციელოთ და ნუ თუ უკან დავიხვევთ?

ეს უნდა ჰქნას ქართველმა ხალხმა, თუ თავისი მთლიანობისა და ხალხოსნობის განმტკიცება ენატრება.

# აკაკის ძეგლი

უდიდესი ძეგლი ადამიანისა მისი შემოქმედების, მისი მოძღვრების გამარჯვებაა..

თვალით სახილავ ძეგლს აკაკის მადლიერი სამშობლო რომ დაუდგავს, ამაში ეჭვიც არ გვებადება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ძეგლი იქნება დიდებული მგოსნის სრულ ნაწარმოებთა გამოცემა, რომელსაც მგოსანი მთელ სიცოცხლეში ვერ ეღირსა და სამარეში ჯავრად ჩაჰყვა..

აი, რას სწერს თვით აკაკი თავის ნაწერების უკანასკნელ გამოცემის პირველ წიგნში:

„ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზედ მეტი უბედურობა-კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც **რამდენიმე ათეული მაინც უნდა** გამოცემულიყო (ხაზი ჩვენია. ი—ი) ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამ გვარად: გამოვა თვითეული წიგნი ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ნაწილში-კი ძველი, უკვე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დროს და ვითარებაში გამოიწვია ესა ანუ ის თხზულება. აკაკი *)

ასე სწერდა მგოსანი და თვისი განზრახვის შესრულებასაც შეუდგა, მაგრამ ვეღარ დასცალდა და ჩვენც ვერ ვეღირსენით დიდებული მგოსნის ძვირფას (შინაარს-შენიშვნებით) გამოცემას.

და თუ ჩვენ მხოლოდ თვალსეირის ხალხი არა ვართ, ამ თავითვე უნდა შევუდგეთ საქმეს და, რაც შეიძლება, ლამაზი, სრული, და საყოველთაოდ ხელმისაწვდომად გამოიცეს მგოსნის ყველა ნაწერი: ლირიკული ლექსები, პოემები, დრამატიული ნაწარმოებნი, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, სიტყვები, ნაკვესები და სხ.

ამას გვავალებს ჩვენი საყვარელი მგოსნის პატივისცემა და სამშობლო ენის სიყვარული: აკაკის ენა ხომ მარგალიტების ზღვაა, ხოლო შინაარსი უკვდავების წყარო. მაშ ნუღარ დავაყოვნებთ!..

აი, ეს იქნება უდიდესი ძეგლი!..**)

**იოსებ არიმათიელი**

*) აკაკი. ჩემი ნაწერები, პირველი წიგნი, ი. მანსვეტოვის გამოცემა. თბ. 1912 წ.

**) ეს წერილი გასული კვირის „აკაკის ნომრისთვის" იყო აწყობილი, მაგრამ უადგილობის გამო ვერ დაიბეჭდა. **რედ.**

# მამის საფლავზე

მამის საფლავზე დაფიქრებული ვდგევარ მარტოკა და პასუხს ველი,
ირგვლივ ღამეა დამკვიდრებული, მდუმარებს არე, მდუმარებს ველი...
მითხარი, მამავ: ნუთუ მარტოდენ სიზმარი არის ჩვენი ცხოვრება,
ჩემი სიცოცხლით სოფელს რას შევსძენ, ან მე რას მომცემს საწუთროება?

მარქვი, ცხოვრებით უკანასკნელ წამს, როს ჩაგეკონა შავი სიკვდილი,
ამ დროს რა იგრძენ, ან და რა მცნებას გიკარნახებდა ყოფნა განვლილი?..
იქნებ საფლავის მყუდრო კედლებში სცანი ცხოვრების იდუმალობა,
იქნებ სამარემ გაგაგებინა ჩემთვის უცნობი ყოფნის გალობა!?..

ვდგევარ საფლავზე, ვდგევარ მარტოკა... ირგვლივ სიბნელე გაურკვეველი,
სდუმს სასაფლაო, მდუმარებს არე... მე კვლავ იქა ვარ, კვლავ პასუხს ველი.

**ღრუბელი**



**მგოსანი ვაჟა-ფშაველა**
(ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი)
მისი ავადმყოფობის გამო

# ეს არის?

**(ვუძღვნი აკაკის ხსოვნას)**

ნელა გაიღო სამოთხის კარი.

ნელა შევიდა შიგ ახოვანი ტანის მოხუცი და კარებშივე შეჩერდა.

თოვლივით თეთრი თმები, ვერცხლივით ხასხასი წვერი ოქროს ნათელში გაევლო. მოხუცის თვალებმა ვერ გაუძლეს შუქს უჩვეულოს, და სახეზე ხელი მიიფარა, მაღლა აწეული თავი ძირს დაიღო.

მოხუცს კარებში მოეგება მეორე მოხუცი. რაღაც საუცხოვო მშვენიერ ღიმილს ერთიან გაეშუქებია მკაცრი სახე ამ უკანასკნელისა.

— მალე, მალე შეეჩვევი, უთხრა მოხუცმა მოხუცს და მკლავში ხელი მოჰკიდა: ვერ მიცანი?

მოხუცმა თავი აიღო და შეხედა გვერდში მდგომს... უკან დაიხია, მერე ისევ წინ წაიწია, თვალები ცრემლებით აევსო, და ორი მოხუცი ერთმანეთს გადაეხვია.

— წამოდი, აი აქეთ წავიდეთ, აქეთ არის ჩვენი უბანი. და მოხუცმა წაიყვანა მოხუცი.

ნელის ნაბიჯით მიდიოდენ გაჩირაღდნებულ სამოთხეში. ახლად მოსული მოხუცი აღტაცებული გარშემო იმზირებოდა და თვალცრემლიანს ნათელი ღიმილით უბრწყინავდა სახე მეორე მოხუციც იღიმებოდა, მაგრამ უცრემლოდ, ოდნავ წარბ შეკრული.

— მივედით. აი, ჯერ იქ მიდი, ხომ ხედავ იმას? იცანი?. -

— ვიცანი!. აკანკალებული ხმით წარმოსთქვა მოხუცმა, სასოებით ხელაპყრობილი მივიდა თვალის მომჭრელ სანახაობის წინაშე და მუხლმოკვეთილი პირქვე დაემხო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ისმოდა ჯერ აჩქარებული სუნთქვა, მერე თავდაჭერილი ქვითინი მოხუცისა.

ღვთაებრივი დედოფალი ცრემლნარევი ღიმილით დაჰყურებდა მას თავზე...

— ეს არის? იკითხა ქულაჯაში გამოწყობილმა, საროტანადმა ჭაბუკმა და ლაღი ღიმილით, კალმით ნახატი წარბების თამაშით მიუახლოვდა დედოფლის წინაშე პირქვე დამხობილ მოხუცს დაფნის გვირგვინით ხელში.

— ეს გახლავთ, უპასუხა მას მოხუცმა.

— ეს არის? იკითხა შავჩოხიანმა ნაღვლიანად მზირალმა ჭაბუკმა და სასოებით მიუახლოვდა დედოფლის წინაშე პირქვე დამხობილ მოხუცს დაფნის გვირგვინით ხელში.

— ეს გახლავთ, უპასუხა მასაც მოხუცმა.

— ეს არის?

— ეს გახლავთ.

— ეს არის?

— ეს გახლავთ.

— ეს არის?

— დიახ, ეს გახლავთ, ეს გახლავთ, უპასუხებდა ყველას მოხუცი*),, და რაღაც საუცხოვო, მშვენიერი ღიმილი იმის მკაცრ სახეს არა შორდებოდა.

---

*) 1 მოხუცი - აკაკი, 2 მოხუცი—ილია, დედოფალი - თამარი, საროტანის ჭაბუკი—შოთა, ნაღვლიანი ჭაბუკი—ბარათაშვილი.

კ. ჭიჭინაძე

# აკაკის სამგლოვიარო დღეს!

(ქ. ქუთაისის დაწყებითი სკოლების წარმომად-გენლისაგან)

„მისთვის მომცა ღმერთმა ენა
სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდა ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში,
ვიხარო და გავახარო,
რაც კი ვნახო მასში ცუდი
გამოვსთქვა და არ დავფარო.

**აკაკი**

დღეს ვასამარებთ იმ დიდებულ ადამიანს და ზეცის მუშას, რომელმაც თავისი მაღალი დანიშნულების შესახებ ასეთი მადლიანი სიტყვები წარმოსთქვა და აღნიშნა თავის დროშაზე! დღეს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ მას, ვინც 56 წლის განმავლობაში დღე და ღამე უმღეროდა ქართველ ერს ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დამყარებისათვის! ვინც 56 წლის განმავლობაში მედგრად ებრძოდა ბოროტებას და უსამართლობას და პირად—თავის მწუხარებას ანგარიშს არ უწევდა! ვინც ქართულ მწერლობას მესამოცე წლებიდან წინ გაუძღვა, გარდაქმნა იგი, მუშაკთა რიცხვი გაამრავლა და ოჯახი სკოლას შეუკავშირა!.. დიახ, დღეს უნდა გამოვეთხოვოთ საუკუნოდ ჩვენს ერთგულ, ჭირისუფალს, ჩვენი მწერლობის მამათ-მთავარს და საყვარელმგოსანს აკაკის!..

აწ ველარ ვიხილავთ იმის ღვთაებრივ სახეს, იმის გრძნობიერ და ნათელ თვალებს! ველარ დავსტკბებით იმისი ტკბილი ბულბულის ენით!.. მშვიდობით საქართველოს ბულბულო და დიდო მასწავლებლო! მე არ შემიძლია გამოვსთქვა შენი ქება-დიდება და არც გესაჭიროება; რაც შენი იუბილეს დღესასწაულობის დროს გავიგონე, იმაზედ უკეთესს ვერაფერს გეტყვი, ხოლო დღეს მეც ჩამოვედი დედა ქალაქ თბილისში, რათა უკანასკნელად გადავავლო თვალი შენს სპეტაკსა და სხივ-მოსილ ქალარას და ამასთანავე გადმოგცე, რომ ჩვენც **ქუთაისის** დაბალი პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელნი, როგორც საერო ისე სასულიერო უწყების ერთად მთელ ქართველ ერთან ცხარე ცრემლებს გაფრქვევთ და მუხლ მოდრეკით თაყვანს ვცემთ შენს ცხედარს. სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენ მოსწავლეებს გავუღვივოთ გულში შენ მიერ ნაანდერძევი სიმართლის მსახურება და ის იდეალი, რომელსაც შენ თავგამოდებით ემსახურებოდი შენს სიცოცხლეში!..

მშვიდობით, ძვირფასო მამავ; თუმცა შენ ხორციელად მოგვშორდი, მაგრამ შენი ღვთაებრივი სახე ყოველთვის თვალწინ წარმოგვიდგება ჩვენ და ქართველი სახალხო მასწავლებელი, ვიდრე იასრსებებს ქართველი ერი, ყოველთვის გახსენებს სკოლაში და ვერ დაივიწყებს შენს სახელს! **ლადო ბზვანელი**

# ვლ. ალ-მესხიშვილს*)

ქართული სცენის შუქურვარსკვლავო,
ვინც ოცდაათ წელს გვიტკბობდი სმენას,
ვინაც შესძინე უკვდავნი ტიპნი
ათვალწუნებულ ჩვენს ღარიბ სცენას,
შენ, ვინც გვასწავლე პატივისცემა,
შევნება-ცნობა ხელოვნებისა,
ვინაც აღზარდე მთელი თაობა,
შეჰქმენ ტაძარი უკვდავებისა.
ვინაც გაგვაცნო პრინცი ჰამლეტი,
გვამცნო აკოსტას კვნესა გულისა;
ვინც დაგვიხატა ძლიერის ნიჭით
ზრახვანი ფრანცის ბოროტ სულის;
მას, მადლიერი სამშობლო ერი,
დღეს მდაბლად უკრავს მოწიწებით თავს
და წრფელის გრძნობით, აღსავსე გულით
განგებას შესთხოვს მის დღეგრძელობას.
სცოცხლობდეს დიდხანს სცენის ვარსკვლავი
ქურუმი ქართულ ხელოვნებისა.
სცოცხლობდეს ლადო—კვლავ სადიადოთ
სამშობლო ქვეყნის, ობოლ ერისა!..

**ჯაფარ-ფაშა**

*) წაკითხული ქუთაისში მსახიობის საიუბილეო დღესასწაულზე.

# მშობლიურ ცის ქვეშ...

(პაწა პოემა პროზად)

— გუშინ პირველად მწველი ეშხით გაიცინა კოლხეთის მნათობმა... გაიცინა და მხურვალე სხივები მთა-ველს მოჰფინა.. ჩემს კუკურსაც მოელამურა მისი კისკისა სხივი, მარა მე მაინც არ გავიშლები..

არა...

მზის სიცილი ვერ აათამაშებს ჩემი კუკურის სათუთ ფურცლებს... ვერ გადმოჰშლის... ვერა.

ჰო, ეგოდენია ჩემი სევდა, რომ ამ გაზაფხულზე ჩემი სინაზის ზღაპარს კვლავ ველარავინ მოისმენს. ბუჩქიდან კარგად ვი-

ხედებოდი, როცა თოვლით დაფენილი კორდები, მინდვრები ადამიანთა სისხლით იღებებოდა. ვუცქერდი ამას და მთლათ დავდნი...

აი, ახლა იქ საფლავები მოსჩანს... ჩემს ახლოსაც რამდენიმეს გაუთხარეს საუკუნო ბინა... რამდენი კვნესა მესმოდა, რამდენი— ვაი დედა. ამან მე დამიცრიცა ნორჩი კუკური—გული დამიდნო... ვერა, ველარ გავიშლები ამ გაზაფხულზე ..

მეშინია ქორჩიოტას ყვავილივით ადამიანის სისხლით წითლად არ შევიღებო, მეშინია..

ასე მოსთქვამდა იის მცენარე და ცრემლებსა ღვრიდა. . სევდით ეკუმშებოდა სათუთი გული, რომ ვერ გაიშლება, ველარ დაატკბობს სევდიანი ლეგენდით გარშემო არეს!!.

უცებ ვიღაც, როცა ია ასე მოსთქვამდა, შავით მოსილი ასული გამოჩნდა... ნელი ნაბიჯით მოდიოდა იგი... ობოლ საფლავს მიუახლოვდა. . დაიჩოქა... იქვე პაწა ბუჩქს დაეყრდნო და ცხარე ცრემლი წასკდა...

— ვინ, ვინ მოგივლის, ჩემო ბიჭო! ხომ ობოლი, ობოლი იქნები აქ.. ქვითინებდა ასული და ცხარე ცრემლსა ღვრიდა...

— ვინ მოგითხრობს ამ ხრიოკ ფერდობზე სიყვარულის ზღაპარს! ვიღა გახარებს გაზაფხულს?!

ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე ცრემლები ასულს და ბუჩქში მყოფ იის დამცრალ-უსიცოცხლო კუკურებს ეპკურებოდა ..

— ვიღა, ვიღა იქნება, ჩემო ბიჭო, აქ შენი მეგობარი! მოსთქვამდა ასული

შეკრთა ია. ატოკდა მისი დამცრალი კუკური.

— მე... მე მე ვიქნები ამ საფლავთან. მე ვახარებ საფლავში ჩაჭედილს გაზაფხულს... მე, მე მოვუთხრობ წარსულ სიყვარულის ზღაპარს.,. ამოსკდა იას გულიდან და გადაშალა კუკურის ფურცლები ..

და როცა ასულმა თავი აიღო, ბუჩქის ძირას რამდენიმე გაშლილი ია დაიხარა... დაიხარა. წაიხარა მიწას დაეყრდნო, ეამბორა სათუთ ყვავილებს. ნელა საფლავებს მოშორდა... ასულის თვალებში რაღაც სიხარული კრთოდა. გაშლილ იას კი თავი მაღლა აეღო.

იგიც ილიმოდა... ილიმოდა, რომ ობოლ საფლავთა მეგობარი იგი იქნება!!. და საფლავში ჩაჭედილ ვაჟებს მარტო იგი მოუთხრობს, თუ ქვეყნად რა ხდება!!.

# სახალხო მუშაკნი

## ნესტორ იოსებისძე ბალანჩივაძე



ნ. ი. ბალანჩივაძე (1885—1915)

დღეს მეორმოცე დღეა, რაც სახალხო მუშაკთა რაზმს გამოაკლდა ერთი გულწრფელი მუშაკთაგანი, ხონის საზაფხულო თეატრის საძირკვლის ჩამყრელი, სცენის მოყვარე და მწერალი ნესტორ იოსებისძე ბალანჩივაძე.

შეძლებულ ვაჭრის შვილი ნ. ი. ბალანჩივაძე დაიბადა დ. ხონში 1885 წ. გიმნაზიაში სწავლის შემდეგ პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელში დაასრულა კურსი იურიდიულ ნაწილზე და საზოგადოებრივ მუშაობას შეუდგა. პრაქტიკული მოღვაწეობის გარდა მწერლობასაც მოჰკიდა, ხელი რამდენიმე წერილი მოათავსა „ბათუმის გაზეთში“ ეროვნულ საკითხის შესახებ, მაგრამ რუსეთში უკურვნელმა სენმა—ჭლექმა შეიპყრო; მიუხედავად ამისა იგი გამალებით მეცადინეობდა და სწყუროდა მშრომელი ხალხისა და სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობა, მაგრამ აღარ დასცალდა. იგი მარქსის მოძღვრების მიმდევართა ერთი იმათგანი იყო, რომელნიც ეროვნულ მხარეს დიდს ყურადღებას აქცევენ: დღეს გვწირია ასეთი მუშაკნი და სწორედ ამითია ბალანჩივაძის უდროვო სიკვდილი სამწუხარო. განსვენებულ ნესტორს დარჩა დაუბეჭდავი ხელნაწერები: იმედია მისი თანამოაზრენი ყურადღებით მოეპყრობიან უანგარო მშრომელისა და იდეური მოღვაწის ნაწერებს.

ი —ელი

# აკაკი

(მოგონებანი *)

ერთს რომელიღაც მეცნიერს ჰკითხეს: რადა სულ მიცვალებულის სურათებით აგიმსია შენი სამეცადინო ოთახიო?

— ეს დიდებული მიცვალებულები მასულდგმულებენ, ღამე მეცადინეობის დროს მგონი მაძლევენ ძალას, მხნეობას, აზრს მიცხოველებენ და აღძრავენ ხოლმე ჩემს გონებაში მათს ძვირფასს ხსოვნას და ათას ტკბილ მოგონებასო, უპასუხა მეცნიერმა.

მართალი უთქვამს მეცნიერსა.

ვუცქერ, რა ჩემს სამწერლო მაგიდაზე დგმულს აკაკის სურათს, თავში ამიქოთდება ხოლმე ათასი მოგონებანი აკაკის ცხოვრებიდან. არ იცი, რომელს მოვკიდო ხელი, საიდან დავიწყო, მე აკაკი ისევ ცოცხალი მგონია, არ მემეტება სასიკვდილოდ, ასე მგონია ისევ ამღერს იგი თავის ტკბილ ჩანგსა, მაგრამ უნდა დავემორჩილოთ ბედსა და ვსთქვა მისივე სიტყვები:

„ღმერთო, რა ვნახე? რას ვხედავ?
რა დრო დაგვიდგა ესაო?...“

დიახ, დაგვიდგა ის დრო, როდესაც სიკვდილმა თავისი გაიტანა, აკაკი ხორციელად მოგვაშორა და სამარადისობის ცხოვრებას მისცა.

დაბეჩავებულს საქართველოს, დამცრებულს და ბედჩაბნელებულს უცებ გაედიმა: სამოციან წლებიდან გაუჩნდნენ მას გულშემატკივარნი, მძლავრად გაისმა ახალგაზდობის ხმა, რომელიც იწვევდა ქართველს ხალხს ახალი ცხოვრებისაკენ. დაუწყეს ძველს კედლებს ნგრევა, მათი წერაქვის ხმა ეუცხოვათ მამებს, მაგრამ შვილები მით მუქარას და წყევლა-კრულვას არ შეუშინდებიან. აი მათ შორის იყო ახალგაზდა აკაკიც.

აკაკი თავდაპირველად არ მოჰყვა ილიას „საქართველოს მოამბეში“, მისი ლექსები „ცისკარში“ იბეჭდებოდა. სამოცდაათ წლამდე აკაკის ჯერ კარგად არ იცნობდა ქართველი მკითხველი, მაგრამ აი გამოვიდა ლექსთა კრებული „ჩონგური“, მშვენიერად გამოცემული ბ. კირილე ლორთქიფანიძისაგან, აი დაიბეჭდა „მნათობში“ მისი „შვილო, ალექსი“, აი ამსო „კრებული“ აკაკის ლექსებით, აი ყოველკვირა იბეჭდება მისი „ცხელ-ცხელი ამბები“ „დროებაში“. აკაკი სანატრელი გახდა, გაიზარდა მისი სახელი. მაშინდელი მოსწავლე ახალგაზდობას გვენატრებოდა ახალგაზდა მწერლების ნახვა. ამ ჟამად სავსებით ვეღარ ვიგონებ იმ წამს, როდესაც პირველად ვნახე აკაკი. სასოგადოებაში იმ დროს მოსწავლე სემინარიელთაგან შესული იყო პოეტი იოსებ ბაქრაძე. იგი ყველა მწერალს პირადათ იცნობდა. დაგვპირდა, მე გაჩვენებთ აკაკისო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

კვირაობით მთელი თბილისი ალექსანდრეს ბაღში დასეირნობდა, ახლანდელსავით გაოხრებული არ იყო მაშინ ეს ბაღი. სადაც ამ ჟამად ტაძარია დიდებისა აშენებული, იქ ჩადიოდა ბაღში ფართე კიბე. აი აქ ვუდარაჯეთ აკაკის და ნიკოლაძეს. აგერ გამოჩნდნენ ისინი; სოსიკომ (პოეტს ბაქრაძეს ასე ვეძახდით) გვიჩვენა: აი ეს არის აკაკი, გრუზა თმიანი, ის შავწვერა კი ნიკოლაძეო. დიდებული სანახავი იყო აკაკი: მაღალი, ბრგე ვაჟკაცი, ხუჭუჭი თმა ბუჩქივით ადგა თავზე და შემოსჯაროდა ფართე და ნათელს შუბლსა. ჩვენ მნახველნი, გამოვლენჩდით, აღარ ვგრძნობდით სად ვიყავით, ისე მიგვიზიდა მისმა სანახაობამ. ის იყო და ის, აკაკი სამლოცველოდ გადაიქცა მაშინდელი ახალგაზდობისა. მაშინდელ მოსწავლე ახალგაზდობამ ბაძვა დაუწყო თვისს მოწინავეებს; თვითონაც ხელთნაწერი ჟურნალები გაიჩინეს, თვითონაც ჩაერივნენ მწერლობაში. მათი ნაწერებიც იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

არ დამავიწყდება ის განცდა, რომელიც მე გამოვიარე ერთი წერილის მიტანის დროს „დროების“ რედაქციაში. ეს იყო 1872 წ. იმ დროს თბილისში სემინარიაში სინოდის რევიზორი იყო ჩამოსული, რადგან რეფორმების შეტანა განიზრახეს, სხვათა შორის კლასიკური ენების შემოღება გადასწყვიტეს, ამისი დიდი მომხრე იყო გიორგი ხელიძე, ღვთისმეტყველების მაგისტრი. ამისა გამო საგაზეთო წერილიც დავწერე, მაგრამ რედაქციაში მიტანა გასჭირდა. როგორც მოგეხსენათ, იმ დროის „ბურსაკები“ გაუბედავი ხალხი ვიყავით მივ-

*) ეს წერილი საგანგებოდ ჩვენი ჟურნალისთვის დასწერა პატივცემულმა ს. მგალობლიშვილმა და გასული კვირის ნომერში უნდა მოთავსებულიყო, მაგრამ ჩვენს უნებლიედ ვერ დაიბეჭდა. ვბეჭდავთ ახლა. რედ.

მართე ექვთიმე ხელაძეს. ის მაშინ „დროების“ ასოთამწყობი იყო. წამიყვანა რედაქციაში. აქ კიდევ ვიხილე აკაკი, სერგი და სხვ. საღამო იყო. მე თვალთ დამიბნელდა, ოფლმა დამასხა, ენა აღარ მემორჩილებოდა. გაშეშებული ვიდექ; შემომაჩერდნენ. ექვთიმემ დამიხსნა: ამ სემენარიელის წერილი აქვს გაზეთისთვისო. აკაკიმ ხელი გამომიწოდა, სერგიმ ღიმილით მიპასუხა. ჩაათვალიერეს. აკაკიმ მოწყალედ ხელი მომკიდა და დამსვა. მე ეკლებზე ვიჯექი, ახალგაზრდა ქურუმებთან თავი არ მეღირსებოდა და გულში მენატრებოდა თავი დამეხწია რედაქციიდან. როცა მითხრეს, დაიბეჭდება, იარე ხოლმე ჩვენთანაო, მაშინ ცოტა შვება მომეცა და ჭირის ალი გადამეყარა...

—

აკაკი მალე ბურჯი შეიქმნა ჩვენის მწერლობისა. გულის ფანცქალით ველოდით „დროებას“, განსაკუთრებით კვირის ნომერს, რომ აკაკის ლექსები და ფელეტონები წაგვეკითხა. ყველა იზეპირებდა აკაკის ლექსებს. თანდათან ძვალ-რბილში უჯდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას მისი ნააზრევი, „დროება“ სერგისა ხომ მითი სულდგმულობდა. მოგეხსენებათ, სერგის მალე შემეეცალნენ ზოგიერთნი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი წავიდნენ საზგვარ გარედ. შერჩა მხოლოდ **აკაკი**. მახსოვს გაჩნდებოდა თუ არა რედაქციაში, როგორც ამას მოწმობს სერგის მეუღლეც, დიდად პატივცემული ეკატერინე მესხისა, მაშინვე შეუკვეთამდა სერგი ფელეტონს, ან ლექსებს ცალკე ოთახში შეიყვანდა და აკაკიც უცებ მცირე ხნის განმავლობაში დაამზადებდა ფელეტონს, ლექსს, ამბავს.

—

ხშირი სტუმარი იყო ქართლის, განსაკუთრებით ქ. გორისა რამდენიმე კვირით, ხან თვეობითაც რჩებოდა, ხშირად ეწვეოდა ხოლმე ვანო მაჩაბელს. მისი ქართლად გამოსვლა ნამდვილი დღეობა იყო. გორში გარს ეხვეოდა იქაური ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელზედაც დიდი გავლენა ჰქონდა აკაკის პირად ხილვასა. მოსწავლენი დაიარებოდნენ გორში აკაკისთან, ისმენდნენ მისს ნალაპარაკევს, მისს ლექსებს, ითვისებდნენ მისგან მამულიშვილურს აზრსა და მიმართულებას. თითქმის მუდამ ხვდებოდნენ აკაკის ვაჟა-ფშაველა, მისი ძმა ბაჩანა, ალექ. ნათაძე, თეოფ. ხუსკივაძე, ალექ. ციმაკურიძე და სხ. და სხ. აკაკი დაუზარელი იყო, ხშირად ამბობდა ნადიმზე სიტყვებს, შიგ ჩაურთავდა მშვენიერს ლექსს, სცენიდამ ხომ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელნი მისს ლექსებსა.

როდესაც რამე აზრი დაებადებოდა თავში, სახე გაუბრწყინდებოდა, რადაც ფიქრი მოიცვავდა მთელს მისს არსებას. ჩვეულებრივად მხიარული, მომღიმარი აკაკი შეიცვლებოდა, თითქო არავისი ლაპარაკი აღარ ესმოდა, ოცნების სამეფოში რბოდა მაშინ მისი გონება. აი მაშინ სთხზავდა ის დიდებულ რამეს.

ერთხელ გორიდამ თბილისისაკენ ვაცილებდით, ქალი და კაცი მივსდევდით თან. აკაკის ხელგაურილი მივსდევდი. უცებ ლაპარაკი შესწყვიტა, ხელი გამომაცალა და ოცნებას მიეცა. ამ დროს მატარებელი წამოგვეწია, მე მაგრა ვტაცე ხელი აკაკის მკლავში და ლიანდაგიდან გადმოვასხტუნე.

— ოჰ, რა მიყავ! აზრები სულ დამიბნიე, რა დროს ბღლაძუნია!

— მე დალოცვილო, კინაღამ მატარებელმა გაგიტანათ და აზრები რადა ჯანდაბად გვინდოდა-მეთქი.

შემდეგ ხშირად მომაგონებდა ხოლმე: ამ კაცმა სიკვდილს გადამარჩინა და მე კი გავუწყერიო.

აკაკის ნახვა ქართლში ყველას ენატრებოდა და დიდი წარმოდგენა ჰქონდათ როგორც იმის ნიჭზე, ისე იმის გარეგნობაზე. ქართლში, ს. ტყვიავში, ერთ დროს დიდად განთქმული ოჯახი იყო იასე ფავლენიშვილისა პურადობით, სტუმართ-მოყვარეობით. გამვლელ-გამომვლელი უთუოდ მის ოჯახში მოისვენებდა. ერთხელ ვეწვიენით ამ ოჯახს, სხვათა შორის აკაკი და ვანო მაჩაბელიც იყვნენ. მასპინძელს გააცნეს: აი ჩვენი დიდი პოეტი აკაკიო. მორცხვმა მასპინძელმა იასემ ხელი მიიჩდილა შუბლთან, შეაცქერდა და უთხრა:

— შენ ხარ აკაკი?! მე უფრო სხვანაირი მეგონე. ჭკუით რომ მდევი ხარ, გარეგნობითაც მდევი მეგონე.

აკაკიმ თავისებურად გადიხარხარა მასპინძლის უცნაურ სიტყვების გამო.



**მიხეილ ლონგინოზისძე კავსაძე**

ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდის ლოტბარი
(დღევანდელი კონცერტის გამო სახალხო სახლში)

აკაკიმ, თუ არა ვცდები, პირველმა დაიწყო ჩვენში ლექტორობა. იმისი ლექციები „ვეფხის ტყაოსანზე" დიდძალს ხალხს იზიდავდა, სხვათა შორის გორშიაც წაიკითხა. ამ ლექციის გამო ინციდენტიც მოხდა.

გორის საკრებულო დარბაზი მოვაწყეთ სალექციოდ. შევედით მე და ნიკო დიასამიძე სადამო ჟამზე და რასხედავთ. სკამები აულაგებიათ. შევატყეეთ, რომ ერთს მამასახლისთაგანს აელაგებინებინა. დიასამიძეს ცეცხლი მოეკიდა კინაღამ შუაზე გაგლიჯა, ძლივს ცოცხალ-მკვდარი გავაგდებინეთ. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო, შემდეგ დიდებული ნადიმი გაუმართეს...

აი დღეს მოგვშორდა ხორციელად დიდებული ჭირისუფალი თვისი ტურფა სამშობლოსი.

აუსრულდა პოეტს დიდი ხნის ნატვრა... დღეს მთა-წმინდა ჩაიკრავს თვის წიაღში თვისს ღირსეულს შვილს, იგი ხომ მას ეხვეწებოდა:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო!.."

დღეს მთელი საქართველო შენს წმიდა ცხედრის წინაშე მუხლს იდრეკს, იდრეკს იმის წინაშე, რომლის „სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ მწარე" იყო სამშობლოს გულისთვის.

მეც მთელ საქართველოსთან მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე, დიდებულო ქართველო!

# ომის მსხვერპლი

**შტ.-როტმისტრი თავ.**
**მიხეილ ალექსანდრესძე წერეთელი**

პრუსიის საზღვარზე, კარპატებს იქით, გმირულად ბრძოლის დროს მოკლული. შთამომავალი იყო იმერეთის წარჩინებულ თავადთა, მის წინაპრებს იმერეთის მეფეთა კარზე დიდი გავლენა ჰქონდათ. მსახურებდა ჩრდილოეთის პოლკში, შემდეგ ქუთაისის გუბერნატორთან საგანგებო მინდობილებათა მოხელედ. ომის დაწყებისას თვის სურვილით შევიდა რუსთა ლაშქარში. დაკრძალულ იქმნა დ საჩხერეში ამა წლის იანვრის 10



**შტ. როტ. თავ. მ. ა. წერეთელი**



თუშ-ხევსურთა დეპუტაცია მეფის წინაშე
წამდგარი 1914 წ. 28 ნოემბერს.

# ქალი გრძნეული

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 2-3)

**ჰანგო** *სიჩუმის შემდეგ*
ნუ დამსტოვებ, დედოფალო,
თუნდ იძიე ჩემზე შური!
**ძნელო** *ვარდის რტოს სახეზე წამოჰკრავს*
რა კარგი ხარ!—-კმარა ჩემო,
შემომხედე მხიარულმა;
რა ხელი აქვს შენთან ცრემლსა,
მოიდაროს შენმა გულმა.
ზღაპარს გეტყვი და გაგაცნობ
მზეთ უნახავს, შავბნელ თვალას;
მას სახელად უწოდებენ
ყველა ერთხმად ძნელ-ქალას
*ისმის ნელი მუსიკა*
ერთხელ იმას ხმა მოესმა:
შენ იქმნები ერთად ერთი
დედოფალი ასულთ შორის
და მიჯნურთა დიდი ღმერთი.
ვინც არ გიცნობს, ასე იტყვის:
„მონა არის და სხვა რაო?“
უფრო მეტად შეგამკობენ,
გეტყვიან, თუ: „არარაო!“
ნამდვილად კი მთელ სამყაროს
დაეუფლო, იდგა ფესვი.
მამაკაცზე ბრძანებლობდე,
მოალხინო, გითხრას ლექსი.
თვის თავსა რომ უხმობს ბატონს,
მონა იყოს უარესი.
შენ იქმნები იგი სარკე,
სად თავს იჩენს დედათ სქესი!
ამის შემდეგ განვლო ხანმა,
მართლაც უფლობს ძნელ-ქალა;
მისთვის თავსა ბევრი სწირავს,
ხელთ უპყრია დიდი ძალა.
მის დარბაზში ურიცხვია
განწირულთა თავის ქალა.
მსხვერპლსა მსხვერპლი ემატება,
გამოიღო კვლავ ბარაქა.
მე ზღაპარი დავასრულე,
ჭირი იქა, ლხინი აქა!
**ჰანგო** მაგ ზღაპარმა ჩემი გული
ბასრის პირით თუმც დასერა,
თუმცა მამცნო შავი ბედი,
გარდუვალი მისივ წერა —
მაინც, ძნელ, ხარ ძვირფასი,
მსურს მარად ჟამს შენი მზერა.
ტრფობა ცუდად არ ჩაივლის,
დედოფალო, მე ეს მჯერა.
როს ამომხდეს გულის კვნესა,
ეს იქმნება სევდის ჟღერა;
სხვა მიჯნურმა მოისმინოს
ტრფობის ლოცვად ჩემი მღერა.

**ძნელ** ჩემი სახე შენს ლოცვაში
ალიბექდოს, დაიხატოს;
და, ვით გითხარ, მოხიბლული
მსხვერპლი მსხვერპლსა მიემატოს.
**ჰანგო** უკვე შევთხზე შენზე ლოცვა,
ჰლაღადებენ სოფლად სხვანი;
ჩემმა ერმა მისთვის მიძღვნა
მე გვირგვინი და ებანი!
**ძნელ** ერთი ნახეთ, ვით იკვეხის,
მაღლა იწევს მისი თქმანი!
შენ რა ხარ, რომ ალგამაღლონ,
შენებრ მღერენ ბევრნი ყმანი.
მე, შენს მიჯნურს თავს მაწონებ
სიტყვით უკვდავს მინაგვარი?
მსურს მაგიტომ შეგიყვარო?—
ამაოა შენი ცდანი. მეტად დაცინვით
ხა, ხა, ხა, ხა! ერთი ნახეთ
ვით აღმოჰხდა კვნესის თქმანი!
ცივად უმზერს
**ჰანგო** დედოფალო!
**ძნელ** რაო ჩემო?
უცბად მივა, მოეხვევა და გაშმაგებით ჰკოცნის
არ მიყვარხარ, არა! არა!
გაეცლება
ეგ ამბორი შენთვის კმარა!
ჰანგო აენთება, მის კვალს მიჰყვება,
თუ შემიპყრობ, გაკოცნინებ!
**ჰანგო** აკი სთქვი, არ მიყვარხარო?
**ძნელ** გაგეხუმრე, დაიჯერე?
**ჰანგო** მაშ გიყვარვარ?
**ძნელ** ხა, ხა, ხა, ხა!
**ჰანგო** მაშ გიყვარვარ?
**ძნელ** გეტყვი მერე!
**ჰანგო** ეხლავ მითხარ!
**ძნელ** თუ შემიპყრობ —
**ჰანგო** სცდილობს შეიპყროს
აკი ვსცდილობ და მისხლტები!
**ძნელ** ვერ ხარ მტკიცე!
**ჰანგო** ხომ შეგიპყარ!
**ძნელ** ვერა, ვერა! ხა, ხა! სცდები!
**ჰანგო** მითხარ, ტურფავ, თუ გიყვარვარ!
**ძნელ** სხვა უშენო მიჰხვდებოდა!
**ჰანგო** რასა?
**ძნელ** იმას, რომ მიყვარხარ!
ასე რავდენჯერმე შემოირბენენ. ქალი შავ ფარდის უკან გაირბენს. ჰანგოც მიჰყვება. ფარდა გადაიხსნება და გამოჩნდება სხვა და სხვა ჩონჩხები და თავის ქალები

კმარა! შენ ვერ დამიჭირე
და ვერ ირგე ამით ლხენა.
მე თვით შევდექ. აჰა, გკოცნი—
აწ მომაპყარ შენი სმენა.
ჰხედავ, ამ ჟამად სად ვიმყოფებით,
ჰხედავ აქ შუქი რარიგ მიმკრთალა?
შენსა გარშემო, ჰხედავ, ამ ჩონჩხებს,
რამდენი არის აქ თავის ქალა.
აგერა, იქით! აგერა, აქეთ
თეთრკბილიანი და დაღრეჯილი!
იგი მოვიდა ჩემთან პირველად,
ის იყო ერთ დროს მეფისა შვილი.
ზოგიერთი ძვლის თავს ხელში იღებს და უამბობს
ჰხედავ, ყრმაო, აი, ამას
მე ვეტრფოდი მხიარული!
იგი იყო სკიპტრის მპყრობი,
შორის ქვეყნით წამოსული.
თავის ქალას დააგდებს და სხვას იღებს
აგერ, კიდევ მოგრძო ქალა,
აწ იგი სდუმს ჩამომხმარი,
ერთ დროს იყო ეგ განთქმული,
ჯართ უფროსი ამირბარი. დააგდებს
ეს კი, კბილებ ჩაცვივნული,
სულ არ იყო სანუკვარი;
ოქრო-ვერცხლით ამაყობდა,
ვაჭარს ჰქონდა გრძნობა მქნარი!
ეს რაინდი და ეს გლეხი,
ეს მოგვი და ეს მთავარი;
აგერ კიდევ, აგერ, მაგრამ
აღარ მახსოვს თუ ვინ არი.
ყველა ჩემკენ მოილტვოდა,
ყველა ჩემით გულდამწვარი
დღესაც, ხვალეც, შემდეგშიაც:
საუკუნოდ, სამუდამოდ;
კვლავ წამოვლენ, კვლავ ვიმსხვერპლებ,
ჩემთვის ტანჯვა უჩნდეთ ამოდ.
თვალებში აცქერდება
ჰე, მგოსანო, აწ რას მეტყვი,
ჩანგი შენი ვით აჟღერო?
აწ რა გითხრან ჩემთა მსხვერპლთა,
როს მათ თვალი შეაჩერო?
ნუ თუ გლოვა არ აღმოგხდეს,
დარჩე გულით შეუმკრთალი,
როს განსჭვრიტო, რომ ეს ბედი
არს ყველასთვის გარდუვალი?
**ჰანგო** სად შენ, ტურფავ, მეგულები,

იქ სამოთხე მეხატება;
შენ გიმზერ და შემოგხარი,
სხვა საზარო ჩემთვის ჰქრება.
თუმც ეს გმირნი განიწირნენ,
გამოაკლდნენ ადრე სოფელს;
თუმც იტანჯნენ, ოდეს შეჰხვდნენ
შენთან სიკვდილს დამამხობელს—
მაგრამ ამათ ერთხელ ჰპოვეს
თვის იმედად დასახული,
განიცადეს წუთით სიტკბო,
სიამე და სიხარული!
რომელმა სთქვას არა სჯობდეს
გარედ ტანჯვას, შენთან შვება?
თუნდ რომ იყოს წამიერი
და უხანო ნეტარება;
როს იციან, რომ სიკვდილი
შენს არ მჭვრეტსაც მიუხდება? -
მაინც ამ ადგილს, დედოფალო,
გთხოვ, განვეცალოთ!

**ძნელ** წავალთ, მიჯნურო, სად შარ-
ბათი ჩვენ უნდა ვსცალოთ!
მხოლოდ, მოიცა, მემუსიკეთ რამ დავა-
ვალოთ
ჩვენი გრძნობები სატრფიალო ხმით გან-
ვიმსჭვალოთ!
ამ დარბაზში მსურს ვიცეკვო
შენთან ერთად ხელჩართულმა,
მსურს, შეგიტკბოს ჩემმა გულმა,
ცეცხლის ალით აგზნებულმა.

ამალას უძახის. შემოდის რამდენიმე ასული

სიკვდილის ცეკვა მოგვასმინეთ!

გარედ უკრავენ სიკვდილის ცეკვას ჰანგო და ძნელ თამაშით წამოვლენ და ძნელ მას შეუმჩნევლად საწოლ ოთახში შეიყვანს, ლაღობენ.

**ჰანგო** შენი ბაგე გაფუჩქვნილი,
ტურფავ, არის ნექტრის წყარო!
სამუდამოდ დავრჩე შენთან,
ცოცხალი ვერ გაგეყარო!
შენის კოცნით და ალერსით
დამიტკბარე აწ მე ყოფა;
სული უწინ გლახ ღელვილი
სევდით შუა არ მეყოფა!

**ძნელ** იმ სურაში სდგას ნექტარი.
მოიტანე!

ჰანგო ნექტარ, ასხავს. ერთს ჭიქას ძნელს გადასცემს ერთი თვით უჭირავს

**იხარებდე,**
შენმა გულმა იამოს—რა!
იცოდე კი, გაზაფხულმა
თვით ერთგული ია მოსრა. სვამს

**ჰანგო** მესმის ემაგ დანაკვნესის.
მაგრამ რა ჰქმნას აბედმა, თუ
ცეცხლი დასწვავს დანა-კვესის? სვამს
ერთსა ამბავს მოგახსენებ,
სამიჯნუროს გასაგონად;
თურმე ბინდის ჟამს გაუხდა
იადონი ვარდსა მონად,
მათ დარაჯად შუქამფრქვევი
მთვარე იდგა გაბადრული;
პირველითვე ვარდის ეკლით
სირი იქმნა გაბასრული.
მაგრამ თავი არ იგლოვა,
არც თუ მცირედ ივაგლახა,
რადგან მისწვდა ძვირსანატრელს,
სატრფო ერთხელ თვისთან ნახა!

**ძნელ** მე იადონს ერთ ვურჩევდი,
ყურად ეღო ჩემი ხმანი:
ვარდს გასცლოდა, წასულიყო,
შეეტრფოდნენ მას კვლავ სხვანი.

**ჰანგო** თუ იადონს ერთი უყვარს,
სიკვდილს ჰპოვებს განშორებით?
სამუდამო მასთან მნათობს,
სიამე აქვს მასთან ხლებით?
მითხარ, როგორ გაეცალოს,
ეს არ არის განა ცხადი?
ერთი სიტყვა ჩემს გულს მოჰკლავს,
ერთი შენი სიტყვა „წადი!“

**ძნელ** შენი სული ვისაც ეძებს,
იქნებ არის სულ სხვა ქალ ?

**ჰანგო** მაგრე ჩემს ძმას ბრძენოს უთქვამს
და არ არის ეგ მართალი!
მოველ, გნახე და დავრწმუნდი,
შენ ჰყოფილხარ მქრობი მწარის,
სხვა მიჯნური ჩემთვის, ტურფავ,
შენს გარეშე არვინ არის!
ვიდრე ვცოცხლობ, ჩემი იყო,
შენც მიიძლვნა ერთგულობა!

**ძნელ** ერთგულობა! ხა, ხა, ხა, ხა!

**ჰანგო** ორ გულს ჰქონდეს ერთი
გრძნობა!

**ძნელ** ხა, ხა, ხა, ხა! თავისთვის
თავს მაბეზრებს
სიყვარული მე ამ გვარი!
სულით, გულით მაშინ ვხარობ,
ახალ-ახალს როს შევხარი!—
ყრმაო ჩემი გავათავე!
მო, დაასხი კვლავ ნექტარი!
მხოლოდ შენთან, სხვასთან ასე
არ ვყოფილვარ მოუბარი!

(შემდეგი იქნება)

# ქართული მართლწერა

ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების უკანასკნელ კრებაზედ დიდი კამათი გამოიწვია კითხვამ: მივმართოთ, თუ არა ქართულ მართლწერის დასამყარებლად მეცნიერთა დახმარებასაო? დიდი კამათი გამოიწვია, რადგან ძველი „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“ დავიწყებული გვაქვს და მოკლე სიტყვასაც კი გრძლად ვამბობთ. ისე გაგვიჭირა საქმე გრძელმა სიტყვამ, რომ კინაღამ კენჭი ვუყარეთ ამ კითხვას, თითქო გვეგულებოდა ვინმე ისეთი, რომ ეთქვა: წინააღმდეგი ვარ მეცნიერებისა და მეცნიერთა დახმარებისაო

მეცნიერების დახმარების წინააღმდეგი არავინ ყოფილა. სთქვეს მარტო, რომ ერთს დასახელებულ მეცნიერთაგანს, პრ. ი. ჯავახიშვილს, ენის მხრივ შეცდომები მოეპოვებაო. პრ. ჯავახიშვილის თხზულებაში რომ შეცდომები იყოს, ადვილი წარმოსადგენია: თითონ პეტროგრადში ცხოვრობს, წიგნი ქალაქში იბეჭდება და კორექტორზედ არის დამოკიდებული ხელნაწერისა და ნაბეჭდის შეთანხმება. ვუჩვენოთ ავტორს ეს შეცდომები და, თუ თავისად აღიარა, დასაბუთებულ გრამატიკულ საფუძველსაც მოგვცემს ამა თუ იმ ფორმის ხმარებისას. ამ გვარად შეკრებილი მასალა საფუძვლად დაედება ჩვენს გრამატიკას. გრამატიკაზედ და ჩვენი მწერლობის შესწავლაზედ დამყარდება ჩვენი მართლწერა და მართლმეტყველება. თორემ ხალხის ცოცხალ ენას დაშორებულნი, გრამატიკის და მწერლობის უვიცნი, რა საკვირველია, ენას გავრყვნით და წავახდენთ. რა არის, თუ არ ენის გარყვნა, ფრაზა: „რათ არ მოდი“ (რატომ არ მოხვედი)? ან ქეთევანა მოვიდა, თამარა, ნინუა, ანტონა? ამ ბოლოს დროს თოფს კი არ ვისვრით, „თოფიდგან ვისვრითა“ და თარს კი არ ვუკრავთ, „თარზედ ვუკრავთ“.

მშვენიერი ენით არის დაწერილი ბ. გორდელის „გაწყვეტილი სიმი„ და სწორედ იქ შემხვდა უკანასკნელი რუსიციზმი: ნუცა ვიოლინზედ უკრავს.

კარგი იქნებოდა, ბ. გორდელს დაესაბუთებინა თავისი მართლწერა: ფეხზედ რად სდგეხარ?.. ერთი დედაკაცი სცხოვრობს... ასე ნუ მსტოვებ..

ვდგევარ, ვცხოვრობ — მდგომარეობითი ზმნაა, დამატება—ვის? რას?—არა აქვს და თავსართი არ ემატება. ხომ არ ითქმის: შენ მე მდგეხარ, შენ იმასა სდგეხარ? ან კიდევ: ის მე მცხოვრობს, ის შენ გცხოვრობს, ის იმასა სცხოვრობს? რაც შეეხება ფორმას „მსტოვებ“, მოქმედებითი ზმნაა, დამატებიანი, და ასე იცვლება: მე შენ გტოვებ, მე იმასა ვტოვებ; **შენ მე მტოვებ**, შენ იმასა სტოვებ; ის მე მტოვებს, გტოვებს, სტოვებს.

(იხ. ნაკადული 1907 წ. № VI გვ. 57.

ამ თავსართებს პრ. ჯავახიშვილი მართებულად ხმარობს. არა ნაკლებ მართებულად არის ნახმარი დაბოლოვება დ ბრუნვაში კარგად, კეთილად. მაგრამ ცოტა რამ საეჭვო ფორმებიც მოეპოვება: 1) საკამათო დაბოლოვება ზმნისა „დნენ“ და „დენ“ (ისინი მოვიდნენ და ისინი მოვიდენ) ორივე მოიპოვება „ქართველ ერის ისტორიაში“. პირველ ტომში ნახმარია „დნენ„. „დენ“ ისე იშვიათად შეგხვდებათ, რომ კორექტურულ შეცდომად მიიღება; მაგრამ მეორე ტომში კი ორივე ერთნაირად არის ხმარებული და ხშირად ერთსა და იმავე გვერდზედაც. 2) არა ნაკლებ არეულია შეთანხმება ზედშესრულისა და არსებითი სახელისა. „ქართველ ერის ისტორია“—პირველ სიტყვას მოკვეცილი აქვს დაბოლოვება ი (ქართველი), მაგრამ იმავე დროს სრული დაბოლოვებით დამთავრებული ფორმებიც ხშირია: „მრავალგვარის საჩუქრებითა“ (გვ. 182), „ქართლურს თქმულების შესწავლამ“ (გვ. 125), „შეერთებულის ძლიერი დამქრით“ (გვ. 164), „იმის ქალი ჰყავს ცოლად“ (გვ. 176), „სპარსეთის ხარბის თვალისაგან ვერ დაუფარავს“ (გვ 181), „საქართველოს ამ სამ კუთხის სამზღვრები„ (გვ. 299), „გაემგზავრე მთელის ჩვენის ჯარით ქართლში“ (გვ. 190)., ერთი სიტყვით ზოგან ი—არის შეკვეცილი, ზოგან ის, ზოგან ი არის დატოვებული, ზოგან ორივე 3) ე— ით დამთავრებულ არსებითსახელს ნათესაობით ბრუნვაში აქვს დაბოლოვება ისა: მახე—მახისა, სარკე—სარკისა და სხ. 407 გვ. წაიკითხავთ; „მეთერთმეტე საუკუნეს პირველ ნახევარში“; 380 გვ.—„თავის მომ-

ხრეს სიკვდილის შურის „საძიებლად"; 415 გვ. „დავით ბაგრატ III—ესგან ციხე მოუთხოვნია".

382 გვ. არის ასეთი დაბოლოვება ზმნისა: „თალხები გაახდეინა და სამეფო პატივ ს სამკაული ჩაცმევინა".

ზამთარშიაც (გვ. 181), მეზობლებშიაც (გვ. 75)? რა საჭიროა აქ ეს ა?

წინადადებაში „დიდი არაფერი არ დროს შეუძლნია" (გვ. 192) საჭიროა თუ არა მეორე უარყოფა, „არ?" ამავე 468 გვ.: „იგი ძლიერებით მეფეს თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა".

ზმნა რომ უ—ით იწყობა, ერთვის თუ არა პირველ პირს ასო ვ? "გზებს ჩვენ გაუკეთებთ და გავუკვლევთო" (გვ. 199), კარები უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმაა სიტყვისა „კარი". მისაღებია, თუ არა „კარები"? „ტფილისის კარებებთან კოშკები მდგარა" (გვ. 289) და „მაშინ აღებდენ ქალაქის კარებებს" (გვ. 290).

კითხვით წინადადებაში, რად მოვიდათ, ვიტყვით და რატომ **არ** მოვდათ. სიტყვას რატომ უარყოფითი „**არ**" მისდევს. მართებულია, თუ არა წინადადება „არა სჩანს, თუ რატომ დასაჯა.. ამირანი"?. (გვ. 157).

**ივ. მაჭავარიანი**



**ჯარის კაცი ხაშმელი ვასილ ნახუცრიშვილი**

ოსმალებთან ბრძოლაში დაჭრილი.

# აკაკის ხსოვნას *)

მახლობელნი მეუბნებიან: „იმ ინცინდენტის გამო, რომელიც შენ აკაკისთან შეგემთხვა, ზნეობრივი მოვალეობა გაძევს—მის დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღო და ქვეყანას ამცნო, რომ აკაკის სახელის გულწრფელი პატივისმცემელი ხარო". სწორედ ამიტომ ვწუხვარ, რომ მონაწილეობას ვერ ვიღებ, თვარა ისე ვისთვის რა საგულისხმო უნდა იყოს ჩემი მონაწილეობა!.

ვინაც მე დაახლოვებით მიცნობს, ადვილად დარწმუნდება, რომ მხოლოდ ჩემი ფიზიკური უბედურებაა ამის მიზეზი, და არავის დაუჯერებს, თითქო მე აკაკის სახელს პატივს არა ვსცემდე. როგორც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მზე ქვეყანას ანათებს და ათბობს, ისე შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ აკაკი დიდი სახალხო მგოსანია და დიდი როლიც შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული გრძნობის გათბობასა და გაფხიზლებაში დაუფასებელია აგრეთვე აკაკის ღვაწლი ხალხურის მარტივის ნაზი ენისა და სტილის შემუშავების ფარგალში. ყველა ეს მეც ისე ნათლად მესმის, როგორც ბევრს სხვასაც, მაგრამ შეიძლება ზოგიერთებისგან იმით განვსხვავდებოდე, რომ კერპთაყვანისმცემლობას არ ვწევვი და უკიდურესობაში არ ვარდები.

მე მწამს, რომ აკაკის პოეტური მოღვაწეობა ფრიად ნაყოფიერია და მშვენიერი, მაგრამ ისიც მწამს, რომ დიდებულმა მგოსანმა თვისი პოეტური გზა უნაკლულოთ განვლო. სრულად შექმნა და განასახიერა ყველაფერი, რის შექმნაც და განსახიერებაც შეეძლო, და მისი სიკვდილით მზე კი არ ჩამქრალა ჩვენთვის,—პირიქით, ჩაუქრობელი მზე დაგვიტოვა: ეს არის მისი შემოქმედებითი ნიჭის ანარეკლი, მისი სხივოსანი, ნაზი და თფილი პოეზია...

რაც შეეხება ჩვენს შორის მომხდარ უსიამოვნებას, საქვეყნოთ აღვიარებ, რომ აკაკის

---

*) თეატრი და ცხოვრება",—აკაკის ნომერი (6) უკვე იბეჭდებოდა ეს წერილი რომ მივიღეთ იბეჭდება ავტორის მართლწერით, სრულიად უცვლელად.
რედ.

სიძულვილი ერთი წამითაც ფიქრში არ გამიტარებია, და საბუთებიცა მაქვს ვიფიქრო, რომ არც აკაკის ვძულებივარ. ორჯერ მქონდა მგოსანთან უ'იამოვნო ინციდენტი—და ორივეჯერ პირველი შეხვედრისათანავე თფილი გულით შევხვდით ერთმანეთს. უკანა'კნელ ინციდენტს შემდეგ არ გასულა დიდი ხანი—„იმერეთის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში“ შემხვდა აკაკი ჩვეულებ'ივი ტკბილი ღიმილით და მეგობრულად გამომიწოდა ხელი;—მხოლოდ იმით თუ „მაწყენია“, რომ რუსულად მომესალმა!..

კარგათ ხედავდა სახელოვანი მგოსანი, რომ საზოგადო საქმის სიყვარული მალაპარაკებდა, და არა საპირადო, და ამიტომაც ჩემი გულწრფელობა იმაში სიძულვილს არ იწვევდა და ჩემგან მიყენებულ უსიამოვნებას მალე ივიწყებდა. ზოგიერთი მისი „დამცველი“ კი დღემდი ხმას არ მცემს—და არც კი ფიქრობენ, რომ ამით დიდებული მგოსნის სახელს შეურაცხყოფენ.

**სილოვანი**

# მგოსნის დაკრძალვა

ვგონებ თბილისს არ უნახავს ასეთი დიდებული სანახაობა, ხალხის ერთის გრძნობით აღტყინება, მიმართულების, ეროვნებისა და სარწმუნოების გაურჩევლად ერთის გრძნობით გამსჭვალვა, როგორც ჩვენი უკვდავი აკაკის დაკრძალვის დღეს... თავი მოიყარა მთელმა საქართველომ თავის წარმომადგენლებით, საქართველოს მწუხარებას შეუერთდნენ ჩვენი მეზობლებიც ეროვნების გაურჩევლად. აქ არ იყო უამრი გვირგვინები,—იყო მხოლოდ ერთი, სადა, უბრალო და ესეც მთელის ერისაგან მიძღვნილი: „აკაკის—საქართველო“, არ იყო ბრჭყვრიალა ზაზოგადოება, მაგრამ იყო ხალხი, მთელი ერი, რამდენიმე ათიათასი... ამიტომაც სამართლიანად სთქვა ერთმა ორატორმა—შეხე რაოდენი ლაშქარი გვყოლია, საჭიროა მხოლოდ შტაბიო...

დაკრძალვამდე, დღეში რამდენჯერმე პანაშვიდები იმართებოდა, შაბათ დილიდან დაიწყო სიტყვების თქმა ქაშვეთის ეკლესიის გალავანში და ბევრი გრძნობიერი სიტყვაც ითქვა, კვირა დილით დიდძალი ხალხი მოაწყდა ქაშვეთს, მაგრამ უადგილობის გამო ბილეთიანებსაც კი არ უშვებდნენ ეკლესიაში. მგოსნის კუბოს ია-ვარდით და სხვა ყვავილებით ამკობდნენ (სხვათა შორის, „ნაკადულის“ რედაქტორის ნ. ნაკაშიძის თაოსნობით ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბავშვები ვარდ-ყვავილებით უფენდნენ გზას). კუბო გამოასვენეს მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მარშლებმა და სხვა საპატიო პირებმა. ქუჩებზე დიდი ჭედვა იყო, მთელი მოძრაობა შეჩერებინათ და ყველა მხრიდან დიდებულ მგოსნის კუბოსკენ მიიჩქაროდნენ, ერთი თვალი დაეკრათ. ერევნის მოედანზე კუბო დაასვენეს. აქ სიტყვები წარმოსთქვეს, ფრიად შინაარსიანი სიტყვები: ნიკო ნიკოლაძემ, ეგ. გეგეჭკორმა, კიტა აბაშიძემ (ამ დროს მგოსნის კუბო შეამკეს დაფნის გვირგვინით მთელის ქართველის ერის სახელით,—გვირგვინი მოედნამდე ახალგაზრდა მგოსნებს მიჰქონდათ), ქართველმა მაჰმადიანმა კაიკაციშვილმა, თბილისის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, თათრების წარმომადგენელმა პირველ სათათბიროელმა ალი-მარდან თოფჩიბაშევმა, თათრულ გაზეთის „იღბალის“ რედაქტორმა ემინ-რასულ ზადემ, ეფენდიევმა, ებრაელთა რაბინმა მარკუსმა, უკრაინელმა, ბერძენმა; თათართა სამღვდელოებამ მცირე წესი გადაუხადა, შემდეგ კუბო დასძრეს, გაიარეს სასახლის ქუჩით, სახაზინო თეატრამდე, აქედან ჭავჭავაძის ქუჩით ავიდნენ, სამიჯნო ქუჩაზე გამოუხვიეს. მამადავითის ყელიდან—თვით ხალხმა აიტაცა კუბო და სამარემდის მხრით აიტანა. სამარესთან სიტყვები წარმოსთქვეს წინამძღოლმა თავ. კ. ნ. აბხაზმა, თავ. იასონ გელოვანმა, ქუთაისის მოურავმა ილ. მ ჩიქოვანმა, ივ. სპ. ელიაშვილმა. უკვე შებინდებული იყო, რომ კუბო აკლდამას მიაბარეს...

განსვენებას დაესწრენ მართველობის საზოგადო, მწერლობის, ვაჭრობის, მუშების, გლეხების, ჰამქრების, სხვა და სხვა ეროვნებათა და სხვა წარმომადგენელნი.

ქუჩაზე გამოსული ხალხი ასიათასამდის მაინც იქნებოდა.

ამ დღემ დაგვარწმუნა, რომ აკაკისთანა მგოსნები არა კვდებიან და არც ერთ'ს ერს ეკუთვნიან!

**უსავანო**

# ქართული სახიობა

**სახალხო სახლში** 10 თებ. გ. ანაშვილის სახალხო სცენაზე ათი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, ქართ. წარმოდ. მმართ. წრემ, კ. შათირიშვილის რეჟისორობით, წარმოადგინა „ციმბირელი“, რასაც საკმაო საზოგადოება დაესწრო და აღტაცებით, მხურვალე ტაშის ცემით იწვევდა საჩუქრებით დაჯილდოვებულს, სწორედ ნიჭიერად „სტეფან მაკარიჩის“ განმასახიერებელს ბ-ნ გ. ანაშვილს. დაუღალავ, ერთგულ მუშას ბ-ნ ანაშვილს „სტეფან მაკარიჩი“ სულის უკანასკნელი კუნჭულიც არ დარჩენია შეუსწავლელი. ზედმიწევნით ყავს შეგნებული მშიშარა, უბადრუკი „სტეფან მაკარიჩი“ და ამიტომ, ყოველი მისი სიტყვა, მიმიკა, მიხვრა-მოხვრა ნიჭიერი მხატვრის მოსმული ხაზებია, კაცის ფიზიონომიის, ცოცხალი სახის ნათელმყოფი. ვერ ვიტყვი, იმ ღამეს „სტეფან მაკარიჩი“ იყო ბ. ანაშვილი, თუ თვითონ „სტეფან მაკარიჩი. მოგვევლინა სცენაზე გარდაქმნაც სწორედ ასე უნდა.. წრის დასი სმოხდენილ, წინდახედულ თამაშს დამსწრე საზოგადოების იმედი არ გაუცრუებია, თუმცა ზოგიერთის ცივი, უგრძნობო თამაში (ნარგიზა —ანკარა, ნიკოლა--მეტრეველი) ხან-და-ხან ანელებდა ცხოველ შთაბეჭდილებას. ცივ წყალს ასხამდა მსმენელთ აგრეთვე „ივანე უსტაბაში“ (გამყრელიძე): დაჭანცულს, სუსტს, ცახცახა მოხუცებულს არ შეეფერებოდა ისეთი მკაცრი ხმა. მსახიობი გვიან შევიდა როლში და მხოლოდ ბოლო მოქმედებაში-ღა ჩადგა „ივანე უსტაბაშის“ ქერქში. **მე**

# წვრილი ამბები

**მგოსანი ვაჟა-ფშაველა** გაციებით მძიმედ დაავადმყოფდა, რის გამოც ვერ დავსწრო აკაკის დაკრძალვას. ამ ჟამად იგი თიონეთშია.

**აკაკის დაკრძალვის** შემდეგ იმავე საღამოთი, როდესაც საზოგადოება დაიშალა, თბილისის მეპურე—მუშებმა, 40—მდე კაცმა, სანთლები დაანთეს მგოსნის სამარეზე, გარს შემოუსხდენ დუმილით. ზოგი მათგანი ცხარე ცრემლს აფრქვევდა. აქ დარჩნენ თითქმის ღამის ათ საათამდე.

**დრამატურგმა სიო ჭანტურიშვილმა** დასწერა ახალი პიესა „სული ობოლი“ (იგივე „მხატვარი“), ხუთ მოქმედებად, სიმბოლიური ელფერით.

**სახალხო სახლის გამგეს** ილია გაბრ. ჩუბინაშვილს მოსჭრეს მარცხენა ფეხი, რომელიც მაზოლის მოჭრით გაუარჯლდა.

**დღეიდან დაბა ხაშურში** იუზა ზარდალიშვილის თაოსნობით და ან. შოთაძის მონაწიბეობით გაიმართება წარმოდგენები. დღეს იდგმის ჭანტურიშვილის „მორევში . მახლობელი რეპერტუარი: „კრეჩინსკის ქორწინება , „პატარა კახი“, „სამშობლო“ და სხ „კრეჩ ქორ.“ რასპლიუევს როლის აღსასრულებლად მიწვეულია ნიკო გოცირიძე.

**გალაქტიონ ტაბიძე** სწერს დიდს რომანს.

**ჯაჯუ ჯორჯიკიამ** დასწერა ახალი ვრცელი მოთხრობა, რომელიც ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნად გამოიცემება.

**აშული ჰაზირა** შეუდგა აკაკის ლექსების აშულურ ჰანგებზე გადაკეთებას დე ორმოცზე (ბზობას ჰფიქრობს გამართოს აკაკის საღამო ისე, როგორც საიათნოვას საღამო გამართა შარშან წინ. გაიმართება დიდი საყურადღებო აშულური შეჯიბრება—კითხვა—პასუხი. შემოსავლის ნახევარი აკაკის სახელობის ფონდს გადაეცემა.

**ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობას** განუზრახავს ნ. ჩხეიძისა და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით 19 თებერვალს ქუთაისის თეატრში წარმოადგინოს „მარგარიტა გოტიე“.

**„ვეფხის ტყაოსნის“ ძველი ხელნაწერი** იპოვა და შეიძინა ქ-მა ანეტა კაპანაძისამ სოფ. ერთაწმინდაში. ქ-ნ კაპანაძისას განუძრახავს ეს ხელნაწერი ქუთ. ეთნ. საზოგადოებას შესწიროს.

**ან. კაპანაკისას მოუგროვებია** მრავალი სხვა და სხვა ნივთი—ძველი ხელნაწერები, აღმონათხრედი ქურჭლეულობა, ფულები, სამკაული, ოქრომკედით ნაქარგი სამოსი, შუბლის-ქინძისთავები, საცერულები, ძველი დაზარნიშული ყუთები, მოხარატული ჭურჭლეულობა, ნასითვი და სხ. ყოველივე ეს ჰსურს გადასცეს ქუთ. ეთნ. საზოგადოებას.

**აკაკის სახელობის ფონდისთვის** ან. კაპანაძისა'ს შეუკრებია ოცზე მეტი ხალხური ზღაპარი, ოთხი სხვა და სხვა „ეთერიანი“, ხალხური „ვეფხის ტყაოსანი“ (ერთი 8 წლის გლეხის ბიჭისგან გაგონილი), ამირანიანი, ბეჟანიანი, ლექსები და სხვა

**დიდი სახალხო კონცერტი** გაიმართება დღეს სახალხო სახლში თბ. ქართ. მომღ. მგალობელთა შეერთებულ გუნდისა (60 კაცზე მეტი) მიხეილ კავსაძის ლოტბარობით. გუნდის გადაწყვეტილებით შემოსავლის 10% გადაეცემა ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდს.

**ქართულ თეატრის ასაშენებელ** თანხას შესწირეს: ,) ხაშმის საკრედიტო ამხანაგობამ ეს. ლოლაძის თავმჯდომარეობით)—20 მ., მარტყოფის საკრედიტო ამხმნაგობამ (მღ ალ ეპიტაშვილის თავმჯდომარეობით)— 00 მან.

**სამოქალაქო პანაშვიდი** აკაკის სამახსოვროდ ამ მოკლე ხანში გაიმართება.

**გვირგვინების ნაცვლად** აკაკის სახელობის ფონდისთვის შემოვიდა სამას თუმანზე მეტი. ეს ფული ეთნოგრაფიულ საზ. გადაეცა ზეპირსიტყვაობის შესაკრებ-გამოსაცემად.

**აკაკის გარდაცვალების** გამო საქართველოს თითქმის ყველა დაბა—ქალაქსა დს სოფელში პანაშვიდები გადიხადეს.

**აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად** ქართ,

კულტურის მოყვარულთა საზოგადოება ამ მოკლე ხანში საჯარო სხდომას გამართავს, რომელზედაც, სხვათა შორის, მოხსენებათ წაიკითხავენ კიტა აბაშიძე, ევ. გეგეჭკორი, ივ გომართელი, ალ. ჭიჭინაძე და სხ.

✦ **აკაკის დამკრძალავმა ამერ-იმერეთის კომიტეტებმა** უკანასკნელი სხდომა გამართეს ორშაბათს, 9 თებერვალს წინამძღოლის თავ. კ. ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით აირჩა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა 1) აკაკის სახელობის საზოგადოების წესდების შედგენა აკაკის ძეგლის დასადგმელად; 2) საფლავის მეთვალყურეობა; 3) აკაკის დღის გამართვა: 4) საფინანსო მხარე; 5) აკაკის დასაფლავების აღწერა-გამოცემა; 6 პანთეონის პროექტის შედგენა და სხ, კომისიის წევრები: გრ. ნიკ. დიასამიძე. ივ. სპ. ელიაშვილი, სამ. კილაძე, ექ. თაყაიშვილი, კნ ან მაჩაბლისა, პ. საყვარელიძე, გ. დ. ჟურული (თავმჯდომარე) მიტ. ლალიძე და ვ. დ. ლამბაშიძე

✦ **ქუთაისის ბანკმა აკაკის ძეგლის** ასაგებად გადასდო ერთდროულად 1000 მან., ხოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოველ—წლიურად 300 მან, იხდის

✦ **ვ. ლვანკითელს** (ვ ყიფიანს) განუზრახავს გამოსცეს „გლოვის ზარი", რომელშიაც მოთავსებული იქნება მისგანვე დაწერილი ლექსები ყველა ქართველ გარდაცვლილ მოღვაწეზე.

✦ **აკაკის სადიდებლად** აუარებელი წერილი და ლექსები მოგვდის. აგრეთვე ცალკე გამოიცა სხვა და სხვა კრებული და სურათები. ვარდენ გიორგისძე ყიფიანმა (ლვანკითელმა) ცალკე ფურცლად გამოსცა საკუთარი ლექსი „ცრემლს ვერ გკადრებ,-აკაკის ხსოვნას" რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„რუსთველის შემდეგ პირველო,
ძვირფასო მგოსანთ მგოსანო. .
ძიტომ არ ვტირი, არა მსურს
შეცდომის გზაზე ვიარო,
შენ არ გიტირო, ცოცხლებში
ცოტა მყავს სამგლოვიარო?"

✦ **საბურთალოს სახალხო სახლში** დღეს გაიმართება პირველი წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ელ. სავაროვისა და შ. საფიროვის მონაწილეობით „ძუნწი" და „დატრიალდა ჯარა" წარმოდგენის დაწყებამდე ილ. ნაკაშიძე წაიკითხავს რეფერატს: „ხელოვნების მნიშვნელობა"-ზე. ადგილების ფასი 10—50 კაპ.

✦ **დიდმა მთავარმა** გიორგი მიხეილისძემ ვერცხლის გვირგვინით შეამკო აკაკის სამარე

✦ **ია ეკალაძის** (ი. თ. ცინცაძის) რედაქტორ-გამომცემლობით ქუთაისში თებერვლის პირველიდან გამოიცა გაზ. „სამშობლო".

✦ **ხაშმელ გლეხთა მგალობელმა** გუნდმა აკაკის დაკრძალვის დღეს საერთო ყურადღება დაიმსახურა. ამ გუნდმა ორშაბათს ლიდუბეში ისტორიკოს დ. ბაქრაძის (ხაშმელი იყო) პანაშვიდი გადიხადა

✦ **მივიღეთ სომხური ჟურნალი** „ტარაზი" და, „აგბიური" (№ 2), რომელშიაც, სხვათაშორის, აკაკის სურათები და წერილებია დაბეჭდილი

✦ **აკაკის სალამოს** გამართავს ხაშურას დრამ. წრე ამ მოკლე ხანში მგოსნის ნაწარმოებიდან. დაიდგმება ცოცხალი სურათები, წაიკითხვენ ლექსებს, დაიდგმება ერთი მოქმედება აკაკის პიესიდან, სიმღერები და სხვა. წმინდა შემოსავალი გადაეცემა აკაკის ფონდს.

✦ **დ. ბორჯომში** - ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა 30 იანვარს მინერალურ სათეატრო დარბაზში დასდგეს „სამშობლო" ერისთავისა, პიესამ ძრიელ სუსტად ჩაიარა და არც მხატვრული მხარე იყო დაცული. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

## დეპეშები

ჩვენის დიდებულის მგოსნის დაკრძალვის დღეს, კრასნოვოდსკში მყოფი ქართველნი შევიკრიბენით და ვილოცეთ დაუვიწყარ და ძვირფას აკაკი წერეთლის სულის შესავედრებლად, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში უკეთესს გრძნობათ გვიღვივებდა. სრულიად ივერიასთან ერთად ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ საქართველოს დიდებულ შვილის დაკარგვის გამო. დაე, მისგან ჩამოძღვრები იდეალები ჩვენის ცხოვრების სახელმძღვანელოდ შეიქმნეს.

საზოგადოების დავალებით

პოდპოლკოვნიკი **ფირალოვი.**

უკანასკნელად ვემშვიდობებით ქართველი ენის დიდებულ მასწავლებელს, უკვდავ აკაკის. ვფიცავთ მის სამარის წინაშე, გავყვეთ მის აღთქმათ და მისგან გაკვალულ გზით ვიაროთ.

**ჟურული, ჯიშკარიანი, ესაკია, ჭავჭანიძე. კობახიძე, ჩკოდუა, ნასარია.**

## ფოსტა

**ქუთაისი.** ი. ბ-ს მოგონება დაიბეჭდება.

**ყარაიაზი.** ქ-ს დაიბეჭდება

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

წელიწადი მესამე

მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფ-დასურ მიმართულების გარეშეა ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში — **ალ. ძამიასთან**, **ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე — 20 კ., 4-ზე — 15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

22 დეკემბრიდან გამოდის საორშაბათო გაზეთი

# „შადრევანი“

**სრული პროგრამით,**

1 წლით 2 მან. 50 კ., 6 თვით 1 მან. 25 კაპ., 1 თვით 25 კ. საზღვარ გარეთ ორჯერ მეტი.

## მიიღება ხელის მოწერა 1915 წლ.

კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорапань“ для **„Шадревани“**.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Типографія „Сорапань“ **Александру Г. Мумладзе.**

კანტორაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილით 11—12.

სინდისიერ და გამოცდილ კორესპონდენტებს რედაქცია შეძლების და გვარად სასყიდელს მისცემს.




მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

# „სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) სურათებიანი დამატებით (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. ✦ ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ.

შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით:

ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

---

„თეატრის და ცხოვრების“ კანტორაში ისყიდება გ. თუმანიშვილის წიგნი

## Характеристика и костюмировка

(ქართული თეატრი—ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწენი.—რუსის მწერლები ჩვენში და სხვ.) სამი ნაწილი, ფ თითო ნაწილი—50 კაპ. მთელი შემოსავალი დანიშნულია ქართულ თეატრის ახალგაზრდა მუშაკების გასამხნევებლად. (5—4)

---

ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გარდაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

---

# „განთიადი“-ს

**გიორგი მაქ. მახარაძეს**

მიხეილის პროსპექტი, № 18. ფოსტის ყუთი № 21.

ყველა გამყიდველთ თბილისსა და პროვინციისა მას უნდა მიმართონ.

---

სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში

„ცოდნა“—ში ისყიდება

# აკაკის შემდეგი ნაწერები

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| I ტომი | 1 | „ |
| II ტომი | 1 | „ |
| ბაში აჩუკი | „ | 30 |
| ნათელა | „ | 20 |
| კიკოლას ნაამბობი | „ | 20 |
| ბაგრატ დიდი | „ | 10 |
| ორი ქართველი | „ | 10 |
| ადექსი | „ | 10 |
| გამზრდელი | „ | 10 |
| რჩეული ლექსები | „ | 10 |
| სიმღერა აკაკისა | „ | 15 |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი | „ | 5 |
| თამარ მეფე | „ | 5 |
| იგივე რუსულად | „ | 5 |
| გაჭრული ჭკუა | „ | 5 |
| მამლის ყივილზე | „ | 10 |
| ლექსები | „ | 10 |
| ჩემი ნაწერები | „ | 75 |
| ორი პუბლიცისტური სტატია | „ | 10 |
| თორნიკე ერისთავი | „ | 35 |

**აკაკის სურათები:** დიდი სურათი 50 კაპ., მორჩილი 20 და ბარათი 5 კ.

ნარდათ მყიდველს ფასდაკლებით დაეთმობა. **მისამართი:** თბილისი. წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე (3—2)

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА „ГАЗЕТ[illegible]“ ТИФЛИСЪ [illegible] ПЕРІОДИЧЕСКИХЪ ИЗДАНІЙ

---

Типографія „Сорапанъ“ სტამბა „სორაპანი“